დანართი

დარეჯან თვალთვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია

შესავალი

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ძირითადი ტენდენციები

განათლების რეფორმის შედეგად საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესატყვისი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრები, რომლებშიც ინტეგრირებული იქნება მოწინავე სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო პროგრამები და რომლებიც წარმატებით გადაწყვეტენ ზოგადეროვნული ინოვაციური პროექტების ფარგლებში საკადრო და კვლევით ამოცანებს.

განათლების ეროვნული სისტემების კონკურენცია გლობალური კონკურენციის საკვანძო მომენტად იქცა, რაც თავისთავად მოითხოვს ტექნოლოგიების მუდმივ განახლებას, ინოვაციების სწრაფად ათვისებას, დინამიკურად განვითარებადი სამყაროსა და დროის მოთხოვნების შესატყვის ადაპტაციას. ამ პირობებში ხარისხიანი განათლების მიღება კვლავ რჩება საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ცხოვრებისეულ ღირებულებად, კეთილდღეობის, სოციალური სამართლიანობის, პოლიტიკური სტაბილურობისა და ქვეყნის უსაფრთხოების გადამწყვეტ ფაქტორად. აქედან გამომდინარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების სტრატეგია მოითხოვს შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრას:

- ხარისხიანი განათლების მიცემით საზოგადოებისა და შრომითი ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სამეცნიერო კვლევების განვითარება, კვლევის შედეგად მიღებული ცოდნის გავრცელება და დანერგვა სასწავლო პროგრამებში;
- საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის სრულყოფა;
- სასაწავლო პროცესის მართვის ეფექტურობის ამაღლება.

გლობალიზაციის, ინტეგრაციის, ინტერნაციონალიზაციის, მოდერნიზაციის, კომერციალიზაციის პირობებში საჭიროა როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, თანამედროვე სასწავლო და კვლევითი ბაზებისა და მიმზიდველი საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა.

სტრატეგიული განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზანი და ამოცანები

სტრატეგიული განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზანია, განსაზღვროს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების გზები და საშუალებები ხანგრძლივ პერსპექტივაში. წინამდებარე დოკუმენტი აყალიბებს იმ ძირითად პრინციპებსა და დებულებებს, რომელთა საფუძველზეც უნდა განვითარდეს ფაკულტეტი უახლოესი 4 წლის განმავლობაში.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია ეფუძნება **ფაკულტეტის მისიას, სტრატეგიულ ხედვას და სტრატეგიულ მიზნებს.**

ფაკულტეტის მისია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, როგორც კვლევითი ტიპის უნივერსიტეტის ფაკულტეტი, თავის მისიას ხედავს ეროვნული და საკაცობრიო სულიერი ფასეულობების შენარჩუნებასა და გამრავლებაში, ჰუმანიტარული ცოდნისა და ინფორმაციის დაგროვებასა და გავრცელებაში, საზოგადოების ინტელექტუალური ელიტის მომზადებაში, ჰუმანიტარულ კვლევებში ინოვაციური მიდგომების დანერგვასა და მეცნიერული კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაციაში.

სტრატეგიული ხედვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი რეგიონში აღიარებული კვლევითი ტიპის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და განათლების წამყვანი ინოვაციური ცენტრია, ლიდერია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების თვალსაზრისით როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

სტრატეგიული მიზანი და ამოცანები:

- ღირსეული ადგილის დაკავება ევროპის კლასიკური უნივერსიტეტების ჰუმანიტარულ ფაკულტეტებს შორის.
- სტრატეგიულ პერსპექტივაში თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი პოზიციებს იმაგრებს როგორც კვლევითი ტიპის უნივერსიტეტის ფაკულტეტი და ინოვაციური განათლებისა და მეცნიერების წამყვანი ცენტრი, რომელიც

ინტეგრირებულია საერთაშორისო ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცესთან და ქვეყანაში ამკვიდრებს სწავლებისა და კვლევის მაღალ სტანდარტებს.

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმის რეალიზება გულისხმობს ისეთ პრიორიტეტულ მიზნებზე ორიენტირებას: როგორებიცაა:
- საქართველოს ინტერესების სამსახური;
- ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა;
- სტუდენტისათვის საფუძვლიანი კონკურენტუნარიანი საუნივერსიტეტო განათლების მიცემა და სათანადო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, რათა მან ადვილად შეძლოს შრომის ბაზარზე თავისი კვალიფიკაციის შესაბამისი ადგილის მოპოვება;
- ახალი ცოდნის დანერგვა სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და საზოგადოების კულტურული ელიტის მომზადების გზით;
- სასწავლო-პედაგოგიური პროცესის სრულყოფა ინოვაციური მიდგომების და საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენების საფუძველზე;
- მაღალკვალიფიციური, თავისი მოღვაწეობის სფეროში ლიდერობაზე ორიენტირებული სპეციალისტისა და ჰარმონიული პიროვნების აღზრდა.
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული პრიორიტეტია, ღირსეულად წარმოადგინოს ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებები საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო ასპარეზზე, წარმატებით განავითაროს ისტორიულად ჩამოყალიბებული და ქართულ და საერთაშორისო სამეცნიერო-აკადემიურ სივრცეში აღიარებული სამეცნიერო-პედაგოგიური სკოლები.

ამ მიზნის მიღწევა გულისხმობს შემდეგი პრიორიტეტული ამოცანების გადაჭრას:

- ჰუმანიტარული განათლების ინოვაციური ხასიათის უზრუნველყოფას საუნივერსიტეტო და აკადემიური სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროგრამების ინტეგრირების საფუძველზე;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, როგორც სოციალური განვითარების სფეროს, მოდერნიზაციას (ხარისხიანი განათლების მიღებისა და წარმატებული სოციალიზების შესაძლებლობის უზრუნველყოფას, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის; ნიჭიერი ახალგაზრდების მხარდაჭერას; ინფრასტრუქტურის განვითარებას, უცხოელი სტუდენტების მოზიდვას;
- უწყვეტი განათლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებას, სამეცნიერო, პედაგოგიური და პროფესიული კადრების მომზადებისა და გადამზადების ხელშეწყობას მათი დონის ამაღლებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით;

- საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის ობიექტური შეფასების მექანიზმების გამოყენებას – საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, სტუდენტთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების გამჭვირვალე სისტემის შექმნას ინტერნეტისა და კონტროლის სხვა ფორმების საშუალებით;
- ეროვნული და გლობალური განვითარების მოთხოვნების შესაბამისად არსებული საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურების ოპტიმიზებას, მათს სისტემატურ მოდერნიზებას, ახალი პროგრამების შექმნას;
- ფაკულტეტის საინვესტიციო იმიჯის ამაღლებას, საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე აქტიურ საქმიანობას, დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობის მექანიზმების სრულყოფას, ფინანსირების ახალი გზების ძიებას;
- ბოლონიის შეთანხმებების რეალიზებას ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ფაკულტეტის სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პროფესორ-მასწავლებლების საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვის მიზნით;
- ფაკულტეტის მართვის სისტემის სრულყოფას ეფექტური საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე.
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა უნდა განიმტკიცოს პოზიციები, ერთი მხრივ, როგორც ქვეყნის მნიშვნელოვანმა სამეცნიერო-სასწავლო კერამ და, მეორე მხრივ, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრმა, რომელიც ფართო სოციალურ ფუნქციებს ასრულებს.

სტრატეგიული გეგმის განხორციელების ძირითადი პრინციპები:

- **დაგეგმვის მოქნილობა**, რაც გულისხმობს ბაზრის კონიუნქტურისა და სოციალურ-ეკონომიკური რყევების დინამიკის გათვალისწინებას.
- **დისციპლინათაშორისი კვლევები.** მეცნიერება სულ უფრო სწრაფად ვითარდება, რეგულარულად იქმნება მისი ახალი მიმართულებები სხვადასხვა დისციპლინის მიჯნაზე. სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები ერთმანეთთან აქტიურად უნდა თანამშრომლობდნენ და ახორციელებდნენ საერთო პროექტებს.
- **მეცნიერებისა და განათლების კავშირი**. სამეცნიერო კვლევების შედეგები სხვადასხვა ფორმით სწრაფად უნდა დაინერგოს სასწავლო პროგრამებსა და პროცესში.
- **ტრადიციის უწყვეტობა და თაობათა კავშირი.** ფაკულტეტმა უნდა აღზარდოს მკვლევართა ახალი თაობები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან ინოვაციური ცოდნის შეძენასა და სასწავლო პროცესში დანერგვაზე. ამასთანავე,

ფაკულტეტმა უნდა შეინარჩუნოს გამოცდილი პროფესორები და მეცნიერები და ამით უზრუნველყოს ტრადიციის უწყვეტობა და თაობათა კავშირი, რომლის გარეშეც საუნივერსიტეტო ცხოვრება წარმოუდგენელია. ეს საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, განვავითაროთ არსებული სამეცნიერო სკოლები და, მეორე მხრივ, ხელი შევუწყოთ ახალი დარგების განვითარებას. გამოცდილ მკვლევრებთან ერთად სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო პროექტებში უნდა იქცეს მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, რათა მათ შეიძინონ კვლევა-ძიების, ანალიზისა და ინფორმაციის განახლების კომპეტენციები.

- **სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაცია**. აუცილებელია ვიზრუნოთ, რომ გამოიძებნოს სამეცნიერო კვლევების შედეგების პრაქტიკაში დანერგვის გზები და საშუალებები, ამაღლდეს სამეცნიერო კვლევების ინოვაციური და საინვესტიციო პოტენციალი და გაიზარდოს მათი დაფინანსება.

სტრატეგიული პროგრამის განხორციელების ძირითადი პრიორიტეტები:

- შესაფერისი პირობების შექმნა სამეცნიერო-პედაგოგიური კოლექტივის ეფექტური მოღვაწეობისათვის, ასევე, არსებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ახალი, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეალიებით ნაკარნახევი პროგრამების რეალიზებისათვის.
- სამეცნიერო სკოლების მხარდაჭერა, მათი შეფასების დროს მსოფლიო სტანდარტებზე ორიენტირება.
- ფაკულტეტის საქმიანობისა და მმართველობითი სტრუქტურების შემდგომი სრულყოფა.
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის ოპტიმიზება.
- ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენება საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნებისათვის.
- ფაკულტეტის პოზიციების გამყარება საერთაშორისო ასპარეზზე, საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლება.
- ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.
- სტუდენტების აქტიური ჩართვა ფაკულტეტის საქმიანობის ყველა სფეროში.
- საგანმანათლებლო პროცესში დამსაქმებელთა მონაწილეობა.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რესურსები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს დიდი წარსული და უძველესი ტრადიციები აქვს. მისი ისტორია უკავშირდება უნივერსიტეტის დაარსებას. 1918 წლის 26 იანვარს გახსნილ პირველ ქართულ უნივერსიტეტში არსებული ორი ფაკულტეტიდან ერთ-ერთი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი იყო.

პირველი ქართული უნივერსიტეტი ყოველთვის უპასუხებდა ეპოქის მოთხოვნებს. იგი განსაზღვრავდა ერის ცნობიერებას და ხელს უწყობდა საქართველოში ინტელექტუალური და სამეცნიერო პოტენციალის ზრდას. თითქმის საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში იცვლებოდა და იხვეწებოდა მისი სტრუქტურა. ჩვენმა ეპოქამ უნივერსიტეტის წინაშე ახალი ამოცანები დააყენა – იგი, ერთი მხრივ, უფრო ინტესიურად უნდა ჩაერთოს და გაიზიაროს მოწინავე დასავლური საუნივერსიტეტო გამოცდილება და, მეორე მხრივ, შეინარჩუნოს თავისი სახე და საუკეთესო სასწავლო და სამეცნიერო ტრადიციები.

დღევანდელი სახით თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 2005 წელს ჩამოყალიბდა ყოფილი ფილოსოფიის, ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტების ბაზაზე.

ამჟამად ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის შემდეგი სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებები:

- **ფილოსოფია;**
- **ისტორია;**
- **არქეოლოგია;**
- **ეთნოლოგია;**
- **ფილოლოგია** *(ქართული, კლასიკური, ბიზანტიური, ახალბერძნული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, რუსული, სკანდინავიური);*
- **კავკასიოლოგია;**
- **ამერიკისმცოდნეობა;**
- **კულტურის მეცნიერებები;**
- **აღმოსავლეთმცოდნეობა** *(არაბისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია, ებრაისტიკა-არამეისტიკა, არმენოლოგია, ასირიოლოგია);*
- **განათლების მეცნიერებები;**
- **ხელოვნებათმცოდნეობა;**
- **ვიზუალური ხელოვნება** *(სახვითი ხელოვნება; კინო-ტელე ხელოვნება)* .

ობიექტური მაჩვენებლები საშუალებას იძლევა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი შევაფასოთ, როგორც დინამიკურად განვითარებადი, კონკურენტუნარიანი ფაკულტეტი, სწავლების სრული ციკლის, მნიშვნელოვანი სამეცნიერო პოტენციალისა და სტაბილური მატერიალური ბაზის მქონე სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსი, რომელსაც აქვს აღიარება საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ, რომელიც ამზადებს მაღალკვალიფიციურ კადრებს და თავისი ინტელექტუალური პოტენციალისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თვალსაზრისით მყარი პოზიციები უჭირავს საქართველის საგანმანათლებლო სივრცეში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ორიენტირებულია ჰუმანიტარულ დარგებში მეცნიერული კვლევების განვითარებაზე, კვლევაზე დაფუძნებულ საგანმნათლებლო საქმიანობასა და კულტურის განვითარებაზე, რაც ამაღლებს მისი სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხს და განსაზღვრავს ფაკულტეტის როლს როგორც უნივერსიტეტის, ასევე ქვეყნის ცხოვრებაში.

ფაკულტეტზე სწავლება და კვლევა წარიმართება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყველა ძირითადი მიმართულებით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე - ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში, ფუნქციონირებს სადისერტაციო საბჭო, რომელსაც აქვს 6 დარგობრივი სექცია და სადოქტორო დისერტაციების დაცვა შეიძლება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყველა დარგში.

ფაკულტეტზე მუშაობს 31 საბაკალავრო, 38 სამაგისტრო, 25 სადოქტორო და 3 უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. გარდა ამისა, ფუნქციონირებს მასწავლებელთა პროფესიული მომზადების 8 პროგრამა.

ფაკულტეტისა და მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით უცხო ენათა სწავლებას ემსახურება უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი.

ამჟამად ფაკულტეტზე სწავლობს 3869 სტუდენტი. მათ ემსახურება 197 მაღალკვალიფიციური პროფესორი, 128 მასწავლებელი, 138 მოწვეული პედაგოგი.

ჰუმანიტარულ დარგში საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევების განვითარებასა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვას ემსახურება 18 ინსტიტუტი, 4 სამეცნიერო ცენტრი, 2 სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, 1 სასწავლო ლაბორატორია და 2 სასწავლო სტუდია.

ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ ფაკულტეტის ბიბლიოთეკითა და ინსტიტუტებთან არებული დარგობრივი ბიბლიოთეკებით, რომლებშიც, გარდა სახელმძღვანელოებისა, დაცულია სამეცნიერო, საცნობარო და მხატვრული ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები ქართულ და უცხოურ ენებზე. მზადდება ფაკულტეტის საბიბლიოთეკო ფონდის ერთიანი ელექტრონული კატალოგი.

ფაკულტეტის სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შედეგების პუბლიკაციისა და პრეზენტაციის საქმეს ემსახურება ფაკულტეტზე გამომავალი 16 ჟურნალი:

- ორენოვანი საფაკულტეტო რეცენზირებადი ჟურნალი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - **"წელიწდეული"**;
- ორენოვანი ელექტრონული რეცენზირებადი ჟურნალი **"სპეკალი"**;
- სამენოვანი (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) – **"კავკასიოლოგიური ძიებანი"**;

- ინგლისურენოვანი - **“ფაზისი”, “ქართველოლოგი”, “ცივილიზაციური ძიებანი”;**
- გერმანულენოვანი - “**Germanistische Studien”, „Georgica**“ - ბერლინის უნივერსიტეტისა და თსუ ერთობლივი გამოცემა;
- რუსულენოვანი **–“Славистика в Грузии”, “Научные труды”** ;
- ქართულენოვანი რეზიუმირებული ჟურნალები – **“ენათმეცნიერების საკითხები**”, “**ლოგოსი”, ”აღმოსავლეთი და კავკასია**”, **“კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები”, “ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი”;**
- რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ერთობლივი ჟურნალი “**სჯანი**”.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი

ა) სწავლება და სასწავლო პროცესის ორგანიზება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლება უნდა ემყარებოდეს და შეესაბამებოდეს დასავლეთის უნივერსიტეტებში არსებულ გამოცდილებას. ამავე დროს, საჭიროა გამოიკვეთოს პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებშიც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი შეძლებს წამყვანი პოზიციის დაკავებას რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით.

ამგვარი მიმართულებები შეიძლება იყოს:

- **ქართველოლოგია და კავკასიოლოგია** *(თსუ ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური კვლევების აღიარებული ცენტრია. რეგიონში თავმოყრილია ძირითადი საკვლევი მასალა. არსებობს მკვლევრების აღზრდის რეალური შესაძლებლობა და ტრადიცია).*

- **არქეოლოგია** *(საქართველო და მთლიანად კავკასია არქეოლოგიური თვალსაზრისით უაღრესად საინტერსო რეგიონია).*

- **აღმოსავლეთმცოდნეობა** *(ჩამოყალიბებულია შესაბამისი ტრადიცია, არსებობს აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ხანგრძლივი და მდიდარი გამოცდილება).*

- **კულტურის კვლევები** *(ეთნიკურად, კულტურულად, კონფესიურად ისეთი მრავალფეროვანი რეგიონისთვის, როგორიც კავკასიაა, ინტერკულტურულ კვლევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება).*

- **სტრატეგიული მიზნები:**
  - საზოგადოების დაკვეთის შესრულება და სტუდენტებისათვის ისეთი ხარისხიანი განათლების მიცემა, რომელზედაც არის მოთხოვნა შრომით ბაზარზე;
  - კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მაღალი დონის მიღწევა;
  - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, როგორც წამყვანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერის, პოზიციების გამყარება;
  - სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების ინტეგრაციის, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის გზით უმაღლესი განათლების ხარისხის სრულყოფა;
  - მართვის სისტემის განვითარება და შემდგომი სრულყოფა.

- **საქმიანობის სახეები:**
  - საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის განახლება და სრულყოფა სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების შერწყმის საფუძველზე;
  - კვლევითი უნივერსიტეტის სტატუსის შესატყვისი სპეციალობებისა და მიმართულებების განვითარება;
  - საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზება დამსაქმებლებთან თანამშრომლობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით;
  - პროფესორ-მასწავლებელთა და განათლების მენეჯერთა მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა და დამაგრება;
  - ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განვითარება და სრულყოფა მრავალსაფეხურიანი უწყვეტი განათლების პრინციპების გამოყენებით: უნივერსიტეტამდელი მომზადება, საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლება, უნივერსიტეტისშემდგომი განათლება, დამატებითი განათლება (კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული გადამზადება, დამატებითი კვალიფიკაცია);
  - სტუდენტთა მობილობის უზრუნველყოფა, მათი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება;
  - ინდივიდულური სასწავლო პროგრამების შემუშავების შესაძლებლობა;
  - სტუდენტთა მოძრაობა საფაკულტეტო კურიკულუმის ჰორიზონტალზე;
  - ძირითადი (major) და დამატებითი (minor) სპეციალობების, აგრეთვე, არჩევითი საგნებისა და თავისუფალი კრედიტების მრავალგვარი კომბინაციის შესაძებლობა, რაც კურსდამთავრებულს უფრო კონკურენტუნარიანს გახდის შრომის ბაზარზე;
  - საგანმანათლებლო პროცესში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების როლისა და მნიშვნელობის გაზრდა;
  - დოქტორანტების სემინარების ორგანიზება;

- უცხოენოვანი კურსებისა და პროგრამების შემუშავება და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა;
- გაცვლითი პროგრამების ხვედრითი წილის გაზრდა;
- უცხოელი სტუდენტებისათვის ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების მომზადება, რაც გაცვლითი პროგრამებისა და უცხოურ უნივერსიტეტებთან ურთიერთობის გააქტიურების წინაპირობა იქნება;
- საზაფხულო სკოლების, სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკისა და სამეცნიერო ექსპედიციების ორგანიზება;
- პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთობლივი საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების მომზადება;
- სწავლების ყველა ეტაპზე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ხვედრითი წილის გაზრდა და სტუდენტთა ცოდნის კონტროლის სრულყოფა;
- თსუ საგამოცდო ცენტრის მუშაობის ხელშეწყობა;
- ფაკულტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება და განახლება ახალი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე სამეცნიერო გამოცემებით; არსებული წიგნადი ფონდის დიგიტალიზაცია.
- უცხოენოვანი სახელმძღვანელოების ქართულად თარგმნის პროგრამის მხარდაჭერა, ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა;
- სასწავლო გეგმებში ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების ჩართვა, სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა ელექტრონული სასწავლო კურსებითა და მასალებით;
- საინფორმაციო სერვისის კომპლექსური განვითარება. საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო ინტერნეტ-ტექნოლოგიების ინტენსიური დანერგვა;
- სტუდენტთა მობილობის უზრუნველყოფა საკრედიტო-მოდულარული სწავლების ფარგლებში;
- შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და ამ თვალსაზრისით პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა;
- ფინანსური რეზერვების მოძიება ახალი პერსპექტიული მიმართულებებისა და იმ ტრადიციული მიმართულებების მხარდასაჭერად, რომლებიც განაპირობებენ ფაკულტეტის ავტორიტეტს;
- ფაკულტეტის პოპულარიზაცია. სარეკლამო-საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება, ღია კარის დღეების სისტემატურად ჩატარება და აბიტურიენტთა მოზიდვა;
- ფაკულტეტის საქმიანობის სფეროს გაფართოება უნივერსიტეტამდელი განათლების თვალსაზრისით (“ნორჩ ჰუმანიტართა სკოლა”; საჯარო სკოლებთან, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან თანამშრომლობა და სხვ.);

- კვალიფიკაციის ამაღლებისა და კადრების გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება; პროფესორთა და დოქტორანტთა მივლინება უცხოეთის უნივერსიტეტებში;
- საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო დისციპლინების ხარისხის რეგულარული შიდა- და გარეაუდიტის ჩატარების უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის კონტროლი;
- ფაკულტეტის მრჩეველთა საბჭოს შექმნა, რომლის მიზანია ჰუმანიტარულ დარგებში პრაქტიკული და აკადემიური საქმიანობის დაახლოება თანამედროვეობის მიერ დასმული პრობლემებისა და ამოცანების გადასაჭრელად. ფაკულტეტის მრჩეველთა საბჭოში შესაბამისი სფეროების სახელმწიფო, არასამთავრობო, სამეცნიერო და ბიზნესორგანიზაციების წარმომადგენლების შეყვანა.

➢ **ინდიკატორები:**

- ✓ *აბიტურიენტების კონკურსი;*
- ✓ *ჩარიცხულ აბიტურიენტთა რაოდენობა;*
- ✓ *სახელმწიფო პროგრამული აკრედიტაციის შედეგები;*
- ✓ *სამაგისტრო, სადოქტორო, საბაკალავრო, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა, სტუდენტთა რაოდენობა;*
- ✓ *უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა;*
- ✓ *კვალიფიკაციის ამაღლებისა და კადრების გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათში მონაწილეთა რაოდენობა;*
- ✓ *კურსდამთავრებულთა დასაქმება;*
- ✓ *უცხოენოვანი კურსების რაოდენობა;*
- ✓ *გაცვლითი პროგრამების რაოდენობა;*
- ✓ *პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთობლივი საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების რაოდენობა;*
- ✓ *უცხოეთის უნივერსიტეტებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მივლინებულ პროფესორთა და დოქტორანტთა რაოდენობა;*
- ✓ *ელექტრონული სასწავლო კურსების რაოდენობა.*

ბ) სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა

➢ **სტრატეგიული მიზნები:**

- თსუ–ში ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებისათვის შესაფერისი პირობების შექმნა;
- კვლევითი სექტორის ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

- ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში ახალ მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული სწავლების პრინციპის რეალიზება;
- დისციპლინათაშორისი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფა;
- პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დონის ამაღლება და მათზე მოთხოვნილების გაზრდა.

➢ **საქმიანობის სახეები:**

- ფაკულტეტზე არსებული სამეცნიერო სკოლების მხარდაჭერა და ხელშეწყობა ახალი სამეცნიერო სკოლების შესაქმნელად;
- მეცნიერების განვითარების პროგნოზირების საფუძველზე კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და დაზუსტება;
- პრიორიტეტული მიმართულებებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა და კვლევისათვის შესაფერისი პირობების შექმნა;
- რესურსების კონცენტრაცია იმ სამეცნიერო მიმართულებებზე, რომლებიც განაპირობს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კვლევით სტატუსს;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების სპექტრის გასაფართოებლად;
- საგრანტო კვლევითი პროექტების მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში მათ თანადაფინანსებაზე ზრუნვა;
- ინტეგრაცია მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარული პროფილის ინსტიტუტებთან და ერთობლივი ინოვაციური კვლევების წარმართვა;
- მეცნიერების ინტერნაციონალიზაციისათვის ხელის შეწყობა;
- რეცენზირებადი საფაკულტეტო სამეცნიერო ჟურნალების "წელიწდეულის", "სპეკალის" და ფაკულტეტის ინსტიტუტების მიერ გამოცემული სამეცნიერო ჟურნალებისა და კრებულების რეგულარული გამოცემა და მათი ელექტრონული ვერსიის განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
- ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით სამეცნიერო ჟურნალ "გეორგიკის" გამოცემის უზრუნველყოფა და ამ გამოცემებისათვის საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის სტატუსის მოპოვებაზე ზრუნვა;
- სხვა პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად უცხოენოვანი და ორენოვანი საერთაშორისო რეცენზირებადი ახალი სამეცნიერო ჟურნალების დაარსება და გამოცემა;
- ფაკულტეტის უცხოენოვანი და ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალების გამოცემის ხელშეწყობა;
- ცნობილი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრების ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან კავშირების გამყარება. უცხოელი და უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების მოზიდვა და ფაკულტეტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა.

- სამეცნიერო-საგამომცემლო საქმიანობის მოდერნიზება. ფაკულტეტის საგამომცემლო კოლეგიის მუშაობის ეფექტურობის გაზრდა, თსუ გამომცემლობასთან აქტიური თანამშრომლობით პუბლიკაციათა რაოდენობისა და სამეცნიერო დონის ამაღლება;
- დოქტორანტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაზრდა, დოქტორანტურის მუშაობის ეფექტურობის ამაღლება;
- სადისერტაციო საბჭოს მუშაობის სრულყოფა;
- სამეცნიერო პროექტების დაფინანსების წყაროების გაფართოებაზე ზრუნვა;
- ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევების განვითარებისათვის სახსრების მოპოვება სხვადასხვა ფონდიდან, დაწესებულებებიდან, კერძო ინვესტორებისაგან;
- მონაწილეობა პრიორიტეტული პროგრამებისა და პროექტების კონკურსებში როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო მასშტაბით;
- მეცნიერებაში ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვის მექანიზმების დახვეწა. ახალგაზრდა მეცნიერების წახალისების სისტემის დანერგვა. ზრუნვა დოქტორანტებისათვის, ახალგაზრდა მეცნიერთათვის საუნივერსიტეტო საგრანტო სისტემის შესაქმნელად;
- შიდასაუნივერსიტეტო და შიდასაფაკულტეტო გრანტების სისტემის შექმნით პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობისათვის მეტი მიმზიდველობისა და მოტივაციის მინიჭება, კონკურსებისა და სტიმულირების სხვა ფორმების დანერგვა. დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისათვის სახელობითი სტიპენდიების დანიშვნა;
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო სიმპოზიუმების, კონფერენციების, სემინარების ორგანიზება;
- სტუდენტური მეცნიერების ინფრასტრუქტურის დახვეწა;
- სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაცია;
- ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვის ნორმატიული უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

ინდიკატორები:

- ✓ *საქართველოსა და უცხოეთში გამოქვეყნებული მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიების, ჩატარებული ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების რაოდენობა და ხარისხი;*
- ✓ *საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილე ფაკულტეტის წარმომადგენელთა რაოდენობა;*
- ✓ *არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო სექტორთან თანამშრომლობით შესრულებული პროექტების და მათში მონაწილე პროფესორთა და სტუდენტთა რაოდენობა;*

- ✓ *მოპოვებული სტიპენდიები, საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტები;*
- ✓ *ფაკულტეტის მიერ გამოცემული სამეცნიერო ჟურნალების რაოდენობა და ხარისხობრივი მაჩვენებელი;*
- ✓ *შესაბამის ვადებში დაცული სადოქტორო დისერტაციების რაოდენობა და ხარისხი;*
- ✓ *აკადემიური პერსონალის ასაკობრივი სტრუქტურა;*
- ✓ *ფაკულტეტის დოქტორანტების დასაქმება;*
- ✓ *სტუდენტთა მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.*

ბ) მმართველობითი სტრუქტურების სრულყოფა

- **სტრატეგიული მიზნები:**
  - ფაკულტეტის ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტურობის ზრდა;
  - მმართველობითი სისტემის სრულყოფა;
  - ფაკულტეტის ორგანიზაციული სტრუქტურების ადაპტაცია სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად;
  - ფაკულტეტის მიმზიდველი იმიჯის შექმნა.
- **საქმიანობის სახეები:**
  - ○ ფაკულტეტის ორგანიზაციული და საშტატო სტრუქტურის ეტაპობრივი ოპტიმიზება, სხვადასხვა დონის მმართველობითი სტრუქტურების ფუნქციების, უფლებამოსილებების, პასუხისმგებლობების მკვეთრი გამიჯვნა, მათი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება;
  - ○ ფაკულტეტის აქტიური მონაწილეობა ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებაში;
  - ○ მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტური უზრუნველყოფის სრულყოფა, ბრძანებების, განკარგულებების, მითითებების, დავალებების შესრულებაზე კონტროლის გაძლიერება;
  - ○ მმართველობაში დემოკრატიული პრინციპების სრულყოფა;
  - ○ ფაკულტეტის საბჭოს მუშაობის ეფექტურობის ამაღლება;
  - ○ მომსახურების მოქნილობა (online კონსულტაცია);
  - ○ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენება ადმინისტრაციის საქმიანობაში როგორც სტუდენტების კონსულტაციების თვალსაზრისით, ასევე ფაკულტეტის ადმინისტრაციის საქმიანობის გამჭვირვალეობისა და მოქნილობის უზრუნველსაყოფად;
  - ○ საზოგადოებასთან ურთიერთობის გააქტიურება, სადისკუსიო ფორუმის რესურსის გამოყენება.
- **ინდიკატორები:**
  - ✓ *მენეჯმენტის განვითარებული სისტემა;*

- ✓ *ახალგაზრდა მენეჯერების ჯგუფის ჩამოყალიბება;*
- ✓ *უმაღლესი სკოლის მენეჯმენტის ტრენინგების რაოდენობა;*
- ✓ *ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა;*
- ✓ *პროფესორთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.*

დ) სასწავლო პირობების სრულყოფა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

- **სტრატეგიული მიზნები:**
  - ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და რაციონალური გამოყენება;
  - საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მაღალი ხარისხის მიღწევა ახალი ტექნოლოგიების დანერგვით;
  - ფაკულტეტის, როგორც მაღალტექნოლოგიური ეროვნული სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის განვითარება, რომელიც ინტეგრირებულია მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში;
  - ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც განაპირობებს თანამშრომელთა ზრუნვას ტექნიკა-დანადგარების მოვლა-პატრონობაზე.

- **საქმიანობის სახეები:**
  - უნივერსიტეტში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ აუდიტორიებისა და ლაბორატორიების თანამედროვე ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვაზე ზრუნვა;
  - ფაკულტეტის პროფესურისათვის თანამედროვე საუნივერსიტეტო სტანდარტების შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნის უზრუნველყოფა;
  - საფაკულტეტო ინსტიტუტებისათვის კეთილმოწყობილი სამუშაო ოთახების გამოყოფა და მათი აღჭურვა სათანადო ტექნიკური მოწყობილობებით;
  - ენების შემსწავლელი ცენტრის თანამედროვე ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა;
  - საფაკულტეტო ბიბლიოთეკის შესაფერის გარემოში განთავსება;
  - ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრის შექმნა, მისი ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფა;
  - სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის საგანმანათლებლო და სამეცნიერო რესურსების ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის;
  - საგანმანათლებლო პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფა, თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით, მათ შორის ელექტრონული ლიტერატურითაც, სრული უზრუნველყოფის მიღწევა;

- ფაკულტეტის ვებ-გვერდის დახვეწა და მისი მუდმივი განახლების უზრუნველყოფა. ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის შექმნა;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ინტერნეტით;
- უკაბელო ინტერნეტ-ტექნოლოგიების სისტემების დანერგვა;
- ფაკულტეტის პროფესურისა და თანამშრომლების ვებ-გვერდების შექმნა.
- უნივერსიტეტის ფარგლებში ფაკულტეტის კორპორაციული ქსელის განვითარება და სრულყოფა;
- სტუდენტური ფორუმის მუშაობის სრულყოფა;
- ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმების განვითარება;
- არსებული ფონდების, რესურსების სრული ელექტრონული კატალოგის შექმნა, წიგნებისა და დოკუმენტების გაცემის ელექტრონული სისტემის ორგანიზება, ელექტრონული სასწავლო წიგნების ხელმისაწვდომობა მონაცემთა ბაზის საშუალებით;
- დისტანციური სწავლების მოდულების ტექნოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემების მხარდაჭერა და რეალიზება. LMS სისტემის დანერგვა;
- თანამედროვე საინფორმაციო-საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების დანერგვა, ბიბლიოთეკების ფონდების გაზრდა და მომსახურების ხარისხის ამაღლება.

➢ **ინდიკატორები:**

- ✓ *ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესურისათვის ხელმისაწვდომი ელექტრონული გამოცემებისა და სასწავლო მასალის რაოდენობა;*
- ✓ *ელექტრონული სალექციო კურსების რაოდენობა;*
- ✓ *თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საფაკულტეტო ბიბლიოთეკის არსებობა;*
- ✓ *საინფორმაციო-საბიბლიოთეკო ფონდების მომხმარებელთა რაოდენობა;*
- ✓ *ფაკულტეტის ვებ-გვერდის მუშაობის ეფექტურობა; ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მომხმარებელთა რაოდენობა;*
- ✓ *ფაკულტეტის პროფესურისა და თანამშრომლების ვებ-გვერდების რაოდენობა;*
- ✓ *სტუდენტური ფორუმის სტუმართა რაოდენობა;*
- ✓ *თანამედროვე ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორიების, ლაბორატორიებისა და კაბინეტების რაოდენობა;*
- ✓ *ფაკულტეტის პროფესურისათვის კეთილმოწყობილი და კარგად აღჭურვილი სამუშაო ოთახების რაოდენობა;*
- ✓ *ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერების რაოდენობა.*

ე) საერთაშორისო საქმიანობა

- **სტრატეგიული მიზნები:**
  - ინტეგრაცია ბოლონიის პროცესის ფარგლებში;
  - მსოფლიო სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში შესვლა კონკურენტუნარიანი სამეცნიერო პროდუქციით;
  - ფაკულტეტის რეპუტაციის ამაღლებით უნივერსიტეტის რეპუტაციის ამაღლება საერთაშორისო არენაზე;
  - სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია.
- **საქმიანობის სახეები:**
  - ფაკულტეტის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინოვაციური მიღწევებისა და შესაძლებლობების პრეზენტაცია საერთაშორისო კონფერენციებითა და პუბლიკაციებით. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, როგორც კვლევითი უნივერსიტეტის ფაკულტეტის, პოზიციის გამყარება;
  - უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიური ფაკულტეტების წარმატებული გამოცდილების შესწავლა–ანალიზი სასწავლო და სამეცნიერო პროცესის მოდერნიზების თვალსაზრისით და მათი დანერგვა ფაკულტეტის საქმიანობაში;
  - ენების ცენტრის მუშაობის სრულყოფა და ოპტიმიზება;
  - სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის უცხო ენების სწავლების საფაკულტეტო პოლიტიკის ჩამოყალიბება და რეალიზება. ენების შესასწავლად რეგულარული კურსების ჩატარება პროფესორ-მასწავლებლებისა და უცხოელი სტუდენტებისათვის;
  - სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარება არსებულ და პერსპექტიულ საერთაშორისო საგრანტო პროექტებთან დაკავშირებით;
  - ბოლონიის დეკლარაციათა რეალიზება. უცხოელი სტუდენტებისათვის ადაპტირებული პროგრამების შედგენა, საგანმანათლებლო პროგრამებისა და კურსების ურთიერთაღიარების უზრუნველყოფა;
  - უცხოეთის პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებთან გაცვლითი პროგრამებისა და სტაჟირებების განხორციელება;
  - სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის აქტივიზება საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და პროექტების ფარგლებში;
  - საერთაშორისო სამეცნიერო ჯგუფების შექმნა ერთობლივი სამეცნიერო და სასწავლო პროგრამების განსახორციელებლად;
  - უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად ღონისძიებების კომპლექსის შემუშავება და რეალიზება;
  - საზაფხულო სკოლების ორგანიზება;

- საერთაშორისო საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის ოპტიმიზება.

ინდიკატორები:

- ✓ *ერთობლივი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების რაოდენობა;*
- ✓ *გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა და პროფესორთა რაოდენობა;*
- ✓ *სტაჟირებების რაოდენობა;*
- ✓ *საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების რაოდენობა და ხარისხი;*
- ✓ *საექსპორტოდ წარდგენილი საგანმანათლებლო პროექტების რაოდენობა;*
- ✓ *უცხოეთში მიწვეული პროფესორების რაოდენობა;*
- ✓ *ფაკულტეტზე მოღვაწე უცხოელ პროფესორთა რაოდენობა;*
- ✓ *ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების, ვორკშოპების და სხვ. რაოდენობა და მათში მონაწილე ფაკულტეტის პროფესორთა რაოდენობა;*
- ✓ *უცხოელი სტუდენტებისათვის ადაპტირებული პროგრამებისა და კურსების რაოდენობა;*
- ✓ *საზაფხულო სკოლებში მონაწილე უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა;*
- ✓ *საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის მისაღებად ფაკულტეტის მიერ დაფინანსებულ პროფესორთა და სტუდენტთა რაოდენობა.*

3) ᲐᲦᲛᲬᲠᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ. ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

➢ **სტრატეგიული მიზნები:**

- შესაფერისი პირობების შექმნა სტუდენტების მსოფლმხედველობისა და ტოლერანტული ცნობიერების ჩამოყალიბების, პიროვნული, შემოქმედებითი და პროფესიული განვითარებისათვის, მოქალაქეობრივი და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის;
- შესაფერისი პირობების შექმნა სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში თვითგამოხატვისათვის, რაც სტუდენტებს გაუადვილებთ ადაპტაციას განსხვავებულ სოციოკულტურულ გარემოში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც;
- პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა პიროვნული ურთიერთობების ჰუმანიზაცია;
- სოციალური პარტნიორობის სისტემის განვითარება;
- ყველა თანამშრომლის შრომითი, პროფესიული და ადამიანური უფლებების პატივისცემა და დაცვა;
- ინტელექტუალური რესურსების მაქსიმალური გამოყენება და განვითარება, კეთილგანწყობილი შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა;

- ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება და მზადყოფნა სამეცნიერო-სასწავლო საქმიანობის სფეროში რეფორმის პოზიტიური ცვლილებების მხარდასაჭერად;
- თანამშრომელთა და სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- პროფესორ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების გაზრდა;
- ზრუნვა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატურ ამაღლებაზე, აკადემიური პერსონალის პროფესიული კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება;
- ევროპის წამყვანი უმაღლესი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების შესაბამის პროგრამებში მონაწილეობის, სწავლებისა და კვლევის თანამდროვე მეთოდების გაცნობა–ათვისებისა და ფაკულტეტის სასწავლო პროცესში დანერგვის, საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

➢ **საქმიანობის სახეები:**

- სტუდენტთა მოქალაქეობრივ-პატრიოტული სულისკვეთების ჩამოყალიბება, მათი ზიარება ეროვნული და მსოფლიო კულტურის ფასეულობებთან. ამ საქმეში საუნივერსიტეტო ტრადიციებისა და პოტენციალის გამოყენება;
- სტუდენტების სამართლებრივი და სოციალური დაცვის, მათი ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ორგანიზება. ქცევის ასოციალური და ნეგატიური ფორმების პროფილაქტიკა;
- ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა პროფესიული ადაპტაციის მხარდაჭერა (კურსდამთავრებულთა კლუბის შექმნა, კურსდამთავრებულების მონაცემთა ბაზის შექმნა და სხვ.);
- სტუდენტებისათვის სოციალური უნარ-ჩვევებისა და ქცევის მაღალი კულტურის გამომუშავება;
- სტუდენტური თვითმმართველობის სისტემის სრულყოფა;
- სტუდენტური კლუბების შექმნის ხელშეწყობა და მათი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- საფაკულტეტო ცხოვრებაში აქტიურად ჩართულ სტუდენტთა წახალისება;
- არასაბიუჯეტო სახსრების მოზიდვა კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად;
- ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა, სათანადო პირობების შექმნა სტუდენტთა ფიზიკური კულტურის განვითარებისათვის;
- სტუდენტთა შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა. კულტურული ღონისძიებების ჩატარება. ფაკულტეტის, როგორც კულტურის ცენტრის, პოზიციების გამყარება;

- ფაკულტეტზე კორპორაციული კულტურის ფორმირება, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის საუკეთესო ტრადიციების შენარჩუნება;
- თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების დაცვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შრომითი დისციპლინის განსამტკიცებლად შესაბამისი მექანიზმების რეალიზება;
- თანამშრომელთა საქმიანობის ეფექტურობისა და ხარისხის შეფასების სისტემებისა და მეთოდების შემუშავება;
- სტუდენტთა და თანამშრომელთა სოციალური მხარდაჭერის მეთოდების დახვეწა;
- ფაკულტეტის მოთხოვნების შესაბამისად საშტატო განრიგის ოპტიმიზება;
- სამომავლო პერსპექტივაში პროფესორ-მასწავლებელთა კადრებზე მოსალოდნელი მოთხოვნების პროგნოზირება;
- სასწავლო პროცესის ოპტიმიზების გზით პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფა;
- მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მოზიდვა და ჩართვა ფაკულტეტის საქმიანობაში;
- ნიჭიერი კურსდამთავრებულებისა და ახალგაზრდა მეცნიერების მოზიდვა.

➢ **ინდიკატორები:**

- ✓ *სტუდენტთა და თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგები;*
- ✓ *ფაკულტეტზე დასაქმებულ ახალგაზრდა მეცნიერთა რაოდენობა;*
- ✓ *სტუდენტებზე გაცემული სტიპენდიების რაოდენობა;*
- ✓ *სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში გამოყოფილი ადგილების რაოდენობა;*
- ✓ *ფაკულტეტზე ჩატარებული კულტურულ-სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;*
- ✓ *სტუდენტური კლუბებისა და შემოქმედებითი კოლექტივების, მათში გაწევრიანებულ სტუდენტთა რაოდენობა;*
- ✓ *პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასის ოდენობა.*

Swot ანალიზი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსპექტიული განვითარების ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოიყოს ფაკულტეტის განვითარების **ძლიერი და სუსტი მხარეები** (ხელშემწყობი და ხელშემშლელი პირობები), **შესაძლებლობები და საფრთხეები:**

ძლიერი და სუსტი მხარეები:

ძლიერი მხარე - ხელშემწყობი პირობები	სუსტი მხარე - ხელშემშლელი პირობები
✓ არსებობს ჰუმანიტარული პროფილის ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, მათი წარმატებით განხორციელების, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადების ჩამოყალიბებული სისტემა. ✓ ჩამოყალიბებულია სამეცნიერო სკოლები, რომელთაც აქვს აღიარება ქართულ და უცხოურ აკადემიურ სივრცეში. ✓ არსებობს თანამშრომლობის კარგი წინაპირობები საუნივერსიტეტო მეცნიერებასა და მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს შორის. ✓ არსებობს მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი პროფესორ-მასწავლებელთა სახით. ✓ არსებობს კარგი წინაპირობები საგანმანათლებლო პროცესის სასწავლო-	✓ თსუ I კორპუსის რეკონსტრუქციისა და სარემონტო სამუშაოების დამთავრებამდე ფაკულტეტს აქვს მძიმე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. არ ყოფნის სააუდიტორიო ფონდი. ბევრი აუდიტორია კეთილმოუ–წყობელი და სარემონტოა. ✓ სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობისათვის სახსრების მოზიდვის დაბალი დონე. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არასაკმარისი ინოვაციური და საინვესტიციო პოტენციალი. ✓ უცხო ენების ცოდნის არასაკმარისი დონე, რაც სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს ხელს უშლის, გამოიყენოს თანამედროვე უცხოენოვანი სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ლიტერატურა და ეზიაროს მეცნიერების თანამედროვე მიღწე–ვებს.

მეთოდოლოგიური უზრუნველ–ყოფისათვის. ✓ არსებობს სამეცნიერო კვლევების შედეგებისა და სასწავლო მეთოდოლოგიური მასალების პუბლიკაციის ჩამოყალიბებული სისტემა. ✓ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ფაკულტეტს აქვს კარგი იმიჯი. ✓ ფაკულტეტზე განვითარებულია უმაღლესი და პროფესიული განათლების ყველა საფეხური. ✓ დაწყებულია სწავლის შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა სწავლების სამივე საფეხურზე. ✓ განათლების სფეროში რეფორმების დაწყებიდან დღემდე დაგროვდა დიდი გამოცდილება, რომელიც კარგი წინაპირობაა მომავალში გარკვეული შეცდომების თავიდან ასაცილებლად.	✓ თანამედროვე სახელმძღვანელოების ნაკლებობა ჰუმანიტარულ მეცნიერე–ბათა ბევრ დარგში. ✓ პროფესორ-მასწავლებელთა შედარე–ბით დაბალი სახელფასო ანაზღა–ურება. ✓ კორპორაციული კულტურის არასა–კმარისი დონე. ✓ საერთაშორისო თანამშრომლობის ნაკლებეფექტურობა. ✓ კვალიფიკაციის ამაღლების მოკრძალებული შესაძლებლობები. ✓ დისტანციური სწავლების არასაკმარისი გამოცდილება. ✓ ელექტრონული კურსების მომზა–დების მეთოდიკის და სპეციალის–ტების ნაკლებობა, შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფის არარსებობა.

შესაძლებლობები და საფრთხეები:

შესაძლებლობები:	საფრთხეები:
✓ ჰუმანიტარული განათლების სფეროში საგანმანათლებლო მომსახურების ფართო სპექტრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ✓ მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი კადრების მომზადება სწავლების ყველა საფეხურზე. ✓ სამეცნიერო გამოკვლევების ინოვაციური და საინვესტიციო პოტენციალის ამაღლება, სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების მოცულობის გაზრდა. ✓ უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნებისათვის. ✓ საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლება, საგანმანათლებლო მომსახურების ექსპორტის გაზრდა. ✓ თსუ I კორპუსის რემონტის დასრულების შემდეგ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საგრძნობი გაუმჯობესება, ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა და გამართვა. ✓ შესაძლებელია როგორც სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებსა და მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე დაფუძნებული თანამედროვე ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოების შექმნა, ასევე ამგვარი სახელმძღვანელოების თარგმნა. ✓ შესაძლებელია უცხოური სახელმძღვანელოების შეძენა. ✓ შესაძლებელია უცხო ენების სწავლების დონის ამაღლება.	✓ მაღალკვალიფიციური კადრების გადინება. ✓ დემოგრაფიული სიტუაციის გაუა–რესება. ✓ გლობალური კრიზისის გამო დაფი-ნანსების მოცულობის შემცირება. ✓ საკადრო პოტენციალის სტიმუ–ლირების ეფექტური მექანიზმების არქონა. ✓ სუსტი კავშირი შრომით ბაზართან.

თსუ ასოცირებული პროფესორი /დარეჯან თვალთვაძე/

29.03.2010